საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს,
ბატონ კახა კუჭავას

ბატონო კახა,

გვსურს, თქვენი ყურადღება გავამახვილოთ ერთ საკანონმდებლო წინადადებასთან დაკავშირებით, რომელიც შეეხება ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების თაობაზე საკანონმდებლო ნორმატიულ დანაწესებს შორის ერთგვარი წინააღმდეგობის აღმოფხვრას, კერძოდ, ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოებში დასაქმებულ პირებზე სახელმწიფო პენსიის, კომპენსაციის/აკადემიური სტიპენდიის გაცემასა და ამ პირთა მხრიდან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შრომითი უფლებებით სარგებლობას.

„სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, პენსიაზე უფლება არ წარმოიშობა და წარმოშობილი უფლება შეწყდება პირის მიერ საჯარო საქმიანობის განხორციელების პერიოდში, ხოლო მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, პენსია შეწყდება საჯარო საქმიანობის განხორციელების პერიოდში.

„სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის მიღების უფლება არ წარმოიშობა და წარმოშობილი უფლება წყდება პირის მიერ საჯარო საქმიანობის განხორციელების პერიოდში, ხოლო 31-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, კომპენსაცია/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდია შეწყდება საჯარო საქმიანობის განხორციელების პერიოდში.

„სახელმწიფო პენსიის შესახებ“ და „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონების მიზანია სოციალური საბიუჯეტო სტაბილურობის უზრუნველყოფა, რომ თავიდან იქნეს აცილებული სახელმწიფო საბიუჯეტო ასიგნებათა ხარჯზე დაფინანსების დუბლირება, თუმცა საგამონაკლისო ნორმის არარსებობის გამო, კანონისმიერი დათქმა – საჯარო საქმიანობის განხორციელების პერიოდში სახელმწიფო პენსიისა და კომპენსაციის/აკადემიური სტიპენდიის გაცემის შეჩერების თაობაზე, ზღუდავს იმ ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოებში დასაქმებულ პირთა მხრიდან სახელმწიფოს მიერ დადგენილი სოციალური სიკეთის მიღების უფლებას, რომლებიც მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებენ საჯარო საქმიანობას, მაგრამ არ წარმოადგენენ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ საჯარო დაწესებულებებს და არ ფინანსდებიან სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
შემოს.№ 1-10983/21
04.08.2021 წ. ფურცელი 19

მოგეხსენებათ, „მაუწყებლობის შესახებ“, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“, „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ და „რეგულირების საფასურის შესახებ“ საქართველოს კანონების თანახმად, ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოებს არ ჰყავთ სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანო, არიან დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანოებისგან, არ წარმოადგენენ საჯარო სამსახურებს და მათში დასაქმებული პირები არ არიან საჯარო მოხელეები, ხოლო მათი დაფინანსებისა და მიმდინარე საბიუჯეტო დანახარჯების დაფარვის ერთ-ერთ ძირითად წყაროს წარმოადგენს რეგულირების საფასური, ისინი არ ფინანსდებიან არც სახელმწიფო ბიუჯეტის, არც ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის და არც მუნიციპალიტეტების ბიუჯეტის სახსრებით. ამდენად, მათზე დაუშვებელია საქართველოს საჯარო სამსახურის მარეგულირებელი კანონმდებლობის გავრცელება.

აღნიშნული საკანონმდებლო აქტების საწინააღმდეგოდ, „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ და „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონები განსხვავებულ დეფინიციას გვთავაზობენ. კერძოდ, ორივე კანონის მე-4 მუხლების „გ“ ქვეპუნქტების თანახმად, საჯარო საქმიანობა განისაზღვრება როგორც სახელმწიფო სამსახურსა და საჯარო სამსახურში, მათ შორის, საჯარო სამართლის იურიდიულ პირში (გარდა პოლიტიკური და რელიგიური ორგანიზაციებისა, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა, მუზეუმებისა, ბიბლიოთეკებისა, სკოლა-პანსიონებისა, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების, სკოლისგარეშე და სააღმზრდელო საქმიანობის განმახორციელებელი დაწესებულებებისა), განხორციელებული შრომითი ანაზღაურებადი საქმიანობა.

ეს მუხლები პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდის დასახელებული კანონების ნორმებთან და ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოებს უდგენს შეზღუდვას მიუხედავად იმისა, რომ ისინი არ არიან საჯარო დაწესებულებები და მათში მომუშავე პირები არ არიან საჯარო მოხელეები. „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ და „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონების ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნა, რომ ერთი და იმავე პირმა სახელმწიფო ბიუჯეტის ორი წყაროდან ერთდროულად არ მიიღოს ანაზღაურება (ხელფასი საჯარო სამსახურიდან და პენსია ან კომპენსაცია/სტიპენდია) იმთავითვე დაცულია, რამდენადაც ეროვნული მარეგულირებელი ორგანოები არ ფინანსდებიან არცერთი სახელმწიფო ბიუჯეტიდან და მათში დასაქმებული პირები ვერ მიიღებენ ანაზღაურებას რომელიმე ბიუჯეტის სახსრებიდან. შესაბამისად, ამ შემთხვევაში, საკანონმდებლო მომწესრიგებელი მოცემულობა სახელმწიფო ბიუჯეტს ათავისუფლებს ორმაგი ტვირთისგან, ხოლო „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ და

„სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონების დასახელებული მე-4 მუხლების „გ“ ქვეპუნქტები გამონაკლისს აკეთებენ სწორედ ისეთი საჯარო დაწესებულებებისათვის, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებიან და არ აკეთებს აქცენტს ეროვნული მარეგულირებელი ორგანოებზე.

შესაბამისად, „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ და „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონებსა და ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების საქმიანობის განმსაზღვრელ სპეციალურ კანონებს შორის არსებული შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით, ვფიქრობთ, „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ და „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონების მე-4 მუხლების „გ“ ქვეპუნქტებში ჩამოთვლილ საგამონაკლისო ინსტიტუტებს უნდა დაემატოს მითითება ეროვნული მარეგულირებელ ორგანოებზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ თქვენს თანადგომას წარმოდგენილ პრობლემატურ საკითხზე საკანონმდებლო ინიციატივის მხარდასაჭერად და, ჩვენის მხრივ, გამოვთქვამთ მზადყოფნას, საქართველოს პარლამენტის შესაბამისი კომიტეტის სურვილის შემთხვევაში, აქტიურად ვითანამშრომლოთ წარმოდგენილი პროექტის რედაქციულ სრულყოფაში.

დანართი:

1. „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის ცვლილებისა და განმარტებითი ბარათის პროექტები - 8 ფურცელი.
2. „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის ცვლილებისა და განმარტებითი ბარათის პროექტები - 8 ფურცელი.

პატივისცემით,

რევაზ არველაძე		[redacted]
ირაკლი გორდულაძე		[redacted]
თეიმურაზ არშბა		[redacted]
გიორგი თავაძე		[redacted]
ანზორ ჭითანავა		[redacted]

პროექტი

საქართველოს კანონი

„სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №56, 28.12.2005, მუხ. 433) მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) საჯარო საქმიანობა – სახელმწიფო სამსახურსა და საჯარო სამსახურში, მათ შორის, საჯარო სამართლის იურიდიულ პირში (გარდა პოლიტიკური და რელიგიური ორგანიზაციებისა, ეროვნული მარეგულირებელი ორგანოებისა, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა, მუზეუმებისა, ბიბლიოთეკებისა, სკოლა-პანსიონებისა, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების, სკოლისგარეშე და სააღმზრდელო საქმიანობის განმახორციელებელი დაწესებულებებისა), განხორციელებული შრომითი ანაზღაურებადი საქმიანობა. საჯარო საქმიანობად არ მიიჩნევა საუბნო საარჩევნო კომისიაში განხორციელებული შრომითი ანაზღაურებადი საქმიანობა და საოლქო საარჩევნო კომისიის დროებითი წევრის მიერ განხორციელებული შრომითი ანაზღაურებადი საქმიანობა. საჯარო საქმიანობად არ მიიჩნევა აგრეთვე სამხედრო სარეზერვო სამსახურში განხორციელებული საქმიანობა. ისეთი შრომითი ანაზღაურებადი საქმიანობის შესახებ ინფორმაციას, რომელიც საჯარო საქმიანობას მიეკუთვნება, კომპეტენტურ ორგანოს შეთანხმებული ფორმატით აწვდის საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

პროექტი

განმარტებითი ბარათი

„სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

კანონპროექტის მიღების მიზეზს წარმოადგენს ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოებთან მიმართებით საკანონმდებლო ნორმატიულ დანაწესებს შორის ერთგვარი წინააღმდეგობის აღმოფხვრა, რომელიც უკავშირდება ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოებში დასაქმებულ პირებზე სახელმწიფო კომპენსაციის/აკადემიური სტიპენდიის გაცემასა და ამ პირთა მხრიდან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შრომითი უფლებებით სარგებლობას.

„სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის მიღების უფლება არ წარმოიშობა და წარმოშობილი უფლება წყდება პირის მიერ საჯარო საქმიანობის განხორციელების პერიოდში, ხოლო 31-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, კომპენსაცია/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდია შეწყდება საჯარო საქმიანობის განხორციელების პერიოდში.

„სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის თანახმად, კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დაფინანსების წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტი.

„სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზანია ერთგვარი სოციალური საბიუჯეტო სტაბილურობის უზრუნველყოფა, რომ თავიდან იქნეს აცილებული სახელმწიფო საბიუჯეტო ასიგნებათა ხარჯზე დაფინანსების დუბლირება, თუმცა საგამონაკლისო ნორმის არარსებობის გამო კანონისმიერი დათქმა საჯარო საქმიანობის განხორციელების პერიოდში სახელმწიფო კომპენსაცის/აკადემიური სტიპენდიის გაცემის შეჩერების თაობაზე ზღუდავს იმ ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოებში დასაქმებულ პირთა მხრიდან სახელმწიფოს მიერ დადგენილი სოციალური სიკეთის მიღების უფლებას, რომლებიც მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებენ საჯარო საქმიანობას, მაგრამ არ წარმოადგენენ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ საჯარო დაწესებულებებს და არ ფინანსდებიან სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

საინტერესოა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი შეიცავს იმ დაწესებულებების ჩამონათვალს, რომლებშიც საქმიანობა მიჩნეულია საჯარო სამსახურად და იქვე ადგენს გამონაკლის შემთხვევებს, რომ საჯარო სამსახურში საქმიანობად არ ითვლება კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პირების მიერ განხორციელებული საქმიანობა და კულტურულ, საგანმანათლებლო, სამეცნიერო, კვლევით, სასპორტო და რელიგიურ, წევრობაზე დაფუძნებულ და ამ კანონითა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული კატეგორიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში საქმიანობა.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტი განსაზღვრავს იმ პირთა ნუსხას, რომლებზეც არ ვრცელდება ამ კანონის მოქმედება და ამ პირებს შორის, ამავე პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის თანახმად, მითითებულია ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს ხელმძღვანელი და მისი მოადგილე, ასევე, ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს წევრი.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად, საჯარო დაწესებულება არის სახელმწიფო ბიუჯეტის, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებით შექმნილი და შესაბამისი ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულება, აგრეთვე მის წინაშე ანგარიშვალდებული/მისი კონტროლისადმი დაქვემდებარებული ორგანიზაცია, ასევე სხვა საჯარო სამართლის იურიდიული პირი, თუ იგი არის შესაბამისი დონის ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების განკარგვის უფლებამოსილების მქონე ორგანიზაცია და მასში მუშაობენ საჯარო მოსამსახურეები.

შესაბამისად, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი კუმულაციურად განსაზღვრავს საჯარო სამსახურის არსს, რომ ეს, გამონაკლისი დაწესებულებების გათვალისწინებით, არის იმ კონკრეტულ საჯარო დაწესებულებებში საჯარო საქმიანობა, რომლებიც არიან სახელმწიფო საბიუჯეტო სახსრებით შექმნილნი და შესაბამისი ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფნი.

„ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოში მოქმედი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოებია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია.

„ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, ეროვნული მარეგულირებელი ორგანო არის სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული სფეროს რეგულირების მიზნით შექმნილი, სპეციალური უფლებაუნარიანობის მქონე საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელსაც არ ჰყავს სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანო, დამოუკიდებელია სახელმწიფო ორგანოებისაგან და მოქმედებს ამ კანონითა და შესაბამისი კანონით დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში.

„ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონი ერთმნიშვნელოვნად ხაზს უსვამს მარეგულირებელი ორგანოების საჯარო სამსახურისგან განსხვავებას, კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილია რა დამოუკიდებლობის ისეთი ძირითადი პრინციპები, როგორიცაა ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს სამართლებრივი გამიჯვნა და ფუნქციური დამოუკიდებლობა ნებისმიერი საჯარო დაწესებულებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირისაგან და საკუთარი განცალკევებული წლიური ბიუჯეტის ქონისა და დამოუკიდებლად განკარგვის უფლება.

მარეგულირებელი ორგანოების აღნიშნული დამოუკიდებლობა და განსხვავებული საჯარო ფუნქციონალური დანიშნულება გამყარებულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონითაც, რომლის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის თანახმად, თუ სპეციალური კანონმდებლობით ან მის საფუძველზე სხვა რამ არ არის დადგენილი, ამ კანონის მოქმედება ვრცელდება ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს აპარატზე.

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, მუდმივმოქმედი ეროვნული მარეგულირებელი ორგანო, რომელიც არ ექვემდებარება არცერთ სახელმწიფო უწყებას. კომუნიკაციების ეროვნული კომისია არ არის სახელმწიფო ქონების საფუძველზე შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი (დაწესებულება) ან საჯარო სამართლის კორპორაცია. კომუნიკაციების ეროვნული კომისიის სამართლებრივი სტატუსი განისაზღვრება „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონითა და ამ კანონით.

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ბიუჯეტს ქმნის რეგულირების საფასური, მე-4 პუნქტის თანახმად, რეგულირების საფასური არის კომისიის ბიუჯეტის შექმნის ერთ-ერთი ძირითადი წყარო, დაკავშირებულია საქართველოს კანონმდებლობით კომისიისათვის მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებასთან და არ წარმოადგენს ეკონომიკური საქმიანობით მიღებულ შემოსავალს. რეგულირების საფასურიდან იფარება

კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ბიუჯეტით განსაზღვრული ხარჯები, ხოლო მე-5 პუნქტის თანახმად, რეგულირების საფასურის გადამხდელები არიან მაუწყებლები.

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ბიუჯეტს ქმნის რეგულირების საფასური, ხოლო მე-3 პუნქტის თანახმად, რეგულირების საფასური არის კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ბიუჯეტის შექმნის ერთ-ერთი ძირითადი წყარო, დაკავშირებულია საქართველოს კანონმდებლობით კომუნიკაციების ეროვნული კომისიისათვის მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებასთან და არ წარმოადგენს ეკონომიკური საქმიანობით მიღებულ შემოსავალს. რეგულირების ყოველწლიური საფასურიდან იფარება კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ბიუჯეტით განსაზღვრული ხარჯები. ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში რეგულირების საფასურის გადამხდელები არიან ავტორიზებული პირები, ხოლო მაუწყებლობის სფეროში – „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული პირები.

„ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის თანახმად, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია არის განსაზღვრული სფეროს რეგულირების მიზნით შექმნილი, სპეციალური უფლებაუნარიანობის მქონე საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელსაც არ ჰყავს სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანო, დამოუკიდებელია სახელმწიფო ორგანოებისგან და მოქმედებს ამ კანონითა და საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში, მე-19 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მარეგულირებელი უფლება-მოვალეობების განხორციელებისას საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია დამოუკიდებელია, ხოლო 21-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წევრსა და აპარატის თანამშრომელზე ვრცელდება ამ კანონით, „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონით, კომისიის დებულებითა და კომისიის სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული უფლება-მოვალეობები. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წევრისა და აპარატის თანამშრომლის შრომის პირობები, მათ შორის, ანაზღაურება და სხვა სარგებელი, განისაზღვრება „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონითა და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით. დაუშვებელია საქართველოს საჯარო სამსახურის მარეგულირებელი კანონმდებლობის გავრცელება საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წევრსა და კომისიის აპარატზე.

„ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია ფინანსდება რეგულირებული საქმიანობისთვის კომისიის მიერ დადგენილი რეგულირების საფასურიდან, რომელსაც შესაბამისი ლიცენზიატები და სხვა რეგულირებული საწარმოები იხდიან „რეგულირების საფასურის შესახებ“ საქართველოს კანონითა და ამ კანონით დადგენილი პირობების შესაბამისად.

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის, „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის და „რეგულირების საფასურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოებს არ ჰყავთ სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანო, არიან დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანოებისგან, არ წარმოადგენენ საჯარო სამსახურებს, მათში დასაქმებული პირები არ არიან საჯარო მოხელეები, მათი დაფინანსებისა და მიმდინარე საბიუჯეტო დანახარჯების დაფარვის ერთ-ერთ ძირითად წყაროს წარმოადგენს რეგულირების საფასური, ისინი არ ფინანსდებიან არც სახელმწიფო ბიუჯეტის, არც ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის და არც მუნიციპალიტეტების ბიუჯეტის სახსრებით და მათზე დაუშვებელია საქართველოს საჯარო სამსახურის მარეგულირებელი კანონმდებლობის გავრცელება.

აღნიშნული საკანონმდებლო ნორმატიული დანაწესების საწინააღმდეგოდ, „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონი განსხვავებულ დეფინიციას გვთავაზობს. კერძოდ, კანონის მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, საჯარო საქმიანობა განისაზღვრება როგორც სახელმწიფო სამსახურსა და საჯარო სამსახურში, მათ შორის, საჯარო სამართლის იურიდიულ პირში (გარდა პოლიტიკური და რელიგიური ორგანიზაციებისა, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა, მუზეუმებისა, ბიბლიოთეკებისა, სკოლა-პანსიონებისა, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების, სკოლისგარეშე და სააღმზრდელო საქმიანობის განმახორციელებელი დაწესებულებებისა), განხორციელებული შრომითი ანაზღაურებადი საქმიანობა. საჯარო საქმიანობად არ მიიჩნევა საუბნო საარჩევნო კომისიაში განხორციელებული შრომითი ანაზღაურებადი საქმიანობა და საოლქო საარჩევნო კომისიის დროებითი წევრის მიერ განხორციელებული შრომითი ანაზღაურებადი საქმიანობა. საჯარო საქმიანობად არ მიიჩნევა აგრეთვე სამხედრო სარეზერვო სამსახურში განხორციელებული საქმიანობა. ისეთი შრომითი ანაზღაურებადი საქმიანობის შესახებ ინფორმაციას, რომელიც საჯარო საქმიანობას მიეკუთვნება, კომპეტენტურ ორგანოს შეთანხმებული ფორმატით აწვდის საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

ეს მუხლი პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდის ზემომოყვანილ კანონებთან და ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოებს უდგენს შეზღუდვას მიუხედავად იმისა, რომ ისინი არ არიან საჯარო დაწესებულებები, მათში მომუშავე პირები არ არიან საჯარო მოხელეები და „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის ერთ-ერთი ძირითადი იმპერატივია, რომ ერთი და იმავე პირმა სახელმწიფო ბიუჯეტის ორი წყაროდან ერთდროულად არ მიიღოს ანაზღაურება (ხელფასი საჯარო სამსახურიდან და კომპენსაცია ან სტიპენდია). ფაქტია, რომ ეროვნული მარეგულირებელი ორგანოები არ ფინანსდებიან არცერთი სახელმწიფო ბიუჯეტიდან და მათში დასაქმებული პირები ვერ მიიღებენ ანაზღაურებას რომელიმე ბიუჯეტის სახსრებიდან.

„სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „გ ქვეპუნქტი გამონაკლისს აკეთებს სწორედ ისეთი საჯარო დაწესებულებებისათვის, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებიან და არ ითვალისწინებს იმას, რომ ეროვნული მარეგულირებელი ორგანოებში საქმიანობა არ წარმოადგენს საჯარო დაწესებულებაში საქმიანობას.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

კანონპროექტის მიღების მიზანია აღმოიფხვრას არსებული შეუსაბამობა „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონსა და „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“, „საჯარო სამსახურის შესახებ“, „მაუწყებლობის შესახებ“, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ და „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონებს შორის, რითაც ლიკვიდირებული იქნება ის იურიდიული დისბალანსი, რომელიც გამოწვეულია ნორმატიულ დანაწესთა ფორმულირებით, რომელიც არ ითვალისწინებს, რომ ეროვნული მარეგულირებელი ორგანოები არ ითვლებიან საჯარო სამსახურებად, ხოლო მათში მომუშავე პერსონალი – საჯარო მოხელეებად.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

წინამდებარე კანონპროექტის მიღებით „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ პირებთან ერთად ეროვნული მარეგულირებელი ორგანოებში დასაქმებულ პირებს უფლება ექნებათ ხელფასთან ერთად მიიღონ სახელმწიფო კომპენსაცია/აკადემიური სტიპენდია.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

„სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საგამონაკლისო ინსტიტუტებს ემატება ეროვნული მარეგულირებელი ორგანოები და იგი ჩამოყალიბდება შემდეგი რედაქციით:

„გ) საჯარო საქმიანობა – სახელმწიფო სამსახურსა და საჯარო სამსახურში, მათ შორის, საჯარო სამართლის იურიდიულ პირში (გარდა პოლიტიკური და რელიგიური ორგანიზაციებისა, ეროვნული მარეგულირებელი ორგანოებისა, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა, მუზეუმებისა, ბიბლიოთეკებისა, სკოლა-პანსიონებისა, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების, სკოლისგარეშე და სააღმზრდელო საქმიანობის განმახორციელებელი დაწესებულებებისა), განხორციელებული შრომითი ანაზღაურებადი საქმიანობა. საჯარო საქმიანობად არ მიიჩნევა საუბნო საარჩევნო კომისიაში განხორციელებული შრომითი ანაზღაურებადი საქმიანობა და საოლქო საარჩევნო კომისიის დროებითი წევრის მიერ განხორციელებული შრომითი ანაზღაურებადი საქმიანობა. საჯარო საქმიანობად არ მიიჩნევა აგრეთვე სამხედრო სარეზერვო სამსახურში განხორციელებული საქმიანობა. ისეთი შრომითი ანაზღაურებადი საქმიანობის შესახებ ინფორმაციას, რომელიც საჯარო საქმიანობას მიეკუთვნება, კომპეტენტურ ორგანოს შეთანხმებული ფორმატით აწვდის საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;“.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიციირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

კანონპროექტი არ არის ინიცირებული საქართველოს მთავრობის მიერ.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

კანონპროექტის ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე. კანონს არ ენიჭება უკუძალა.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა არ არის მოთხოვნილი.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო იქნება სახელმწიფო ბიუჯეტი.

კანონპროექტს ექნება მინიმალური გავლენა სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე, ვინაიდან ეროვნულ მარეგულირებელ კომისიებში დღეისათვის დასაქმებულ იმ პირთა რაოდენობა, რომლებსაც შეიძლება შეეხოთ კანონპროექტით გათვალისწინებული ცვლილება, არ წარმოადგენს საჯარო ინტერესის რაიმე ფორმით დაზიანებისა და სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების სერიოზული ზრდის საფუძველს.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

წარმოდგენილი კანონპროექტი გავლენას არ იქონიებს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი): კანონპროექტს ექნება მინიმალური გავლენა სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე. ვინაიდან დღეისათვის ეროვნულ მარეგულირებელ კომისიებში დასაქმებულ იმ პირთა რაოდენობა, რომლებსაც შეიძლება შეეხოთ კანონპროექტით გათვალისწინებული ცვლილება, არ წარმოადგენს საჯარო ინტერესის რაიმე ფორმით დაზიანებისა და სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების სერიოზული ზრდის საფუძველს.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

კანონპროექტი დადებით ფინანსურ გავლენას იქონიებს იმ ფიზიკურ პირებზე, რომლებიც მოექცევიან კანონპროექტის რეგულირების სფეროში, კერძოდ, პროექტით გათვალისწინებულ ფიზიკურ პირებს გაეზრდებათ შემოსავალი იმ პერიოდისათვის მოქმედი სახელმწიფო კომპენსაციის/სტიპენდიის სიდიდით.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტით არ დგინდება გადასახადი, მოსაკრებელი ან სხვა სახის გადასახდელი.

ბ[1]) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:

კანონპროექტს არ ექნება ზეგავლენა ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“

ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

პროექტი

საქართველოს კანონი

„სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №56, 28.12.2005, მუხ. 390) მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) საჯარო საქმიანობა – სახელმწიფო სამსახურსა და საჯარო სამსახურში, მათ შორის, საჯარო სამართლის იურიდიულ პირში (გარდა პოლიტიკური და რელიგიური ორგანიზაციებისა, ეროვნული მარეგულირებელი ორგანოებისა, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა, მუზეუმებისა, ბიბლიოთეკებისა, სკოლა-პანსიონებისა, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების, სკოლისგარეშე და სააღმზრდელო საქმიანობის განმახორციელებელი დაწესებულებებისა), განხორციელებული შრომითი ანაზღაურებადი საქმიანობა. საჯარო საქმიანობად არ მიიჩნევა საუბნო საარჩევნო კომისიაში განხორციელებული შრომითი ანაზღაურებადი საქმიანობა და საოლქო საარჩევნო კომისიის დროებითი წევრის მიერ განხორციელებული შრომითი ანაზღაურებადი საქმიანობა. ისეთი შრომითი ანაზღაურებადი საქმიანობის შესახებ ინფორმაციას, რომელიც საჯარო საქმიანობას მიეკუთვნება, კომპეტენტურ ორგანოს შეთანხმებული ფორმატით აწვდის საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;”.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

პროექტი

განმარტებითი ბარათი

„სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

კანონპროექტის მიღების მიზეზს წარმოადგენს ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოებთან მიმართებით საკანონმდებლო ნორმატიულ დანაწესებს შორის ერთგვარი წინააღმდეგობის აღმოფხვრა, რომელიც უკავშირდება ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოებში დასაქმებულ პირებზე სახელმწიფო პენსიის გაცემასა და ამ პირთა მხრიდან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შრომითი უფლებებით სარგებლობას.

„სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, პენსიაზე უფლება არ წარმოიშობა და წარმოშობილი უფლება შეწყდება პირის მიერ საჯარო საქმიანობის განხორციელების პერიოდში, ხოლო მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, პენსია შეწყდება საჯარო საქმიანობის განხორციელების პერიოდში.

„სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, პენსიის დაფინანსების წყაროა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი.

„სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზანია ერთგვარი სოციალური საბიუჯეტო სტაბილურობის უზრუნველყოფა, რომ თავიდან იქნეს აცილებული სახელმწიფო საბიუჯეტო ასიგნებათა ხარჯზე დაფინანსების დუბლირება, თუმცა საგამონაკლისო ნორმის არარსებობის გამო კანონისმიერი დათქმა საჯარო საქმიანობის განხორციელების პერიოდში სახელმწიფო პენსიის გაცემის შეჩერების თაობაზე ზღუდავს იმ ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოებში დასაქმებულ პირთა მხრიდან სახელმწიფოს მიერ დადგენილი სოციალური სიკეთის მიღების უფლებას, რომლებიც მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებენ საჯარო საქმიანობას, მაგრამ არ წარმოადგენენ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ საჯარო დაწესებულებებს და არ ფინანსდებიან სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

საინტერესოა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი შეიცავს იმ დაწესებულებების ჩამონათვალს, რომლებშიც საქმიანობა მიჩნეულია საჯარო სამსახურად და იქვე ადგენს გამონაკლის შემთხვევებს, რომ საჯარო სამსახურში საქმიანობად არ ითვლება კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პირების მიერ განხორციელებული საქმიანობა და კულტურულ, საგანმანათლებლო, სამეცნიერო, კვლევით, სასპორტო და რელიგიურ, წევრობაზე დაფუძნებულ და ამ კანონითა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული კატეგორიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში საქმიანობა.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტი განსაზღვრავს იმ პირთა ნუსხას, რომლებზეც არ ვრცელდება ამ კანონის მოქმედება და ამ პირებს შორის, ამავე პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის თანახმად, მითითებულია ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს ხელმძღვანელი და მისი მოადგილე, ასევე, ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს წევრი.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად, საჯარო დაწესებულება არის სახელმწიფო ბიუჯეტის, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებით შექმნილი და შესაბამისი ბიუჯეტის

დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულება, აგრეთვე მის წინაშე ანგარიშვალდებული/მისი კონტროლისადმი დაქვემდებარებული ორგანიზაცია, ასევე სხვა საჯარო სამართლის იურიდიული პირი, თუ იგი არის შესაბამისი დონის ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების განკარგვის უფლებამოსილების მქონე ორგანიზაცია და მასში მუშაობენ საჯარო მოსამსახურეები.

შესაბამისად, „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი კუმულაციურად განსაზღვრავს საჯარო სამსახურის არსს, რომ ეს, გამონაკლისი დაწესებულებების გათვალისწინებით, არის იმ კონკრეტულ საჯარო დაწესებულებებში საჯარო საქმიანობა, რომლებიც არიან სახელმწიფო საბიუჯეტო სახსრებით შექმნილნი და შესაბამისი ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფნი.

„ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოში მოქმედი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოებია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია.

„ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „გ" ქვეპუნქტის თანახმად, ეროვნული მარეგულირებელი ორგანო არის სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული სფეროს რეგულირების მიზნით შექმნილი, სპეციალური უფლებაუნარიანობის მქონე საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელსაც არ ჰყავს სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანო, დამოუკიდებელია სახელმწიფო ორგანოებისაგან და მოქმედებს ამ კანონითა და შესაბამისი კანონით დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში.

„ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ" საქართველოს კანონი ერთმნიშვნელოვნად ხაზს უსვამს მარეგულირებელი ორგანოების საჯარო სამსახურისგან განსხვავებას, კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილია რა დამოუკიდებლობის ისეთი ძირითადი პრინციპები, როგორიცაა ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს სამართლებრივი გამიჯვნა და ფუნქციური დამოუკიდებლობა ნებისმიერი საჯარო დაწესებულებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირისაგან და საკუთარი განცალკევებული წლიური ბიუჯეტის ქონისა და დამოუკიდებლად განკარგვის უფლება.

მარეგულირებელი ორგანოების აღნიშნული დამოუკიდებლობა და განსხვავებული საჯარო ფუნქციონალური დანიშნულება გამყარებულია „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონითაც, რომლის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ნ" ქვეპუნქტის თანახმად, თუ სპეციალური კანონმდებლობით ან მის საფუძველზე სხვა რამ არ არის დადგენილი, ამ კანონის მოქმედება ვრცელდება ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს აპარატზე.

„მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, მუდმივმოქმედი ეროვნული მარეგულირებელი ორგანო, რომელიც არ ექვემდებარება არცერთ სახელმწიფო უწყებას. კომუნიკაციების ეროვნული კომისია არ არის სახელმწიფო ქონების საფუძველზე შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი (დაწესებულება) ან საჯარო სამართლის კორპორაცია. კომუნიკაციების ეროვნული კომისიის სამართლებრივი სტატუსი განისაზღვრება „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონითა და ამ კანონით.

„მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ბიუჯეტს ქმნის რეგულირების საფასური, მე-4 პუნქტის თანახმად, რეგულირების საფასური არის კომისიის ბიუჯეტის შექმნის ერთ-ერთი ძირითადი წყარო, დაკავშირებულია საქართველოს კანონმდებლობით კომისიისათვის მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებასთან და არ წარმოადგენს ეკონომიკური საქმიანობით მიღებულ შემოსავალს. რეგულირების საფასურიდან იფარება კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ბიუჯეტით განსაზღვრული ხარჯები, ხოლო მე-5 პუნქტის თანახმად, რეგულირების საფასურის გადამხდელები არიან მაუწყებლები.

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის

თანახმად, კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ბიუჯეტს ქმნის რეგულირების საფასური, ხოლო მე-3 პუნქტის თანახმად, რეგულირების საფასური არის კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ბიუჯეტის შექმნის ერთ-ერთი ძირითადი წყარო, დაკავშირებულია საქართველოს კანონმდებლობით კომუნიკაციების ეროვნული კომისიისათვის მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებასთან და არ წარმოადგენს ეკონომიკური საქმიანობით მიღებულ შემოსავალს. რეგულირების ყოველწლიური საფასურიდან იფარება კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ბიუჯეტით განსაზღვრული ხარჯები. ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში რეგულირების საფასურის გადამხდელები არიან ავტორიზებული პირები, ხოლო მაუწყებლობის სფეროში – „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული პირები.

„ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის თანახმად, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია არის განსაზღვრული სფეროს რეგულირების მიზნით შექმნილი, სპეციალური უფლებაუნარიანობის მქონე საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელსაც არ ჰყავს სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანო, დამოუკიდებელია სახელმწიფო ორგანოებისგან და მოქმედებს ამ კანონითა და საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში, მე-19 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მარეგულირებელი უფლება-მოვალეობების განხორციელებისას საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია დამოუკიდებელია, ხოლო 21-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წევრსა და აპარატის თანამშრომელზე ვრცელდება ამ კანონით, „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ" საქართველოს კანონით, კომისიის დებულებითა და კომისიის სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული უფლება-მოვალეობები. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წევრისა და აპარატის თანამშრომლის შრომის პირობები, მათ შორის, ანაზღაურება და სხვა სარგებელი, განისაზღვრება „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ" საქართველოს კანონითა და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით. დაუშვებელია საქართველოს საჯარო სამსახურის მარეგულირებელი კანონმდებლობის გავრცელება საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წევრსა და კომისიის აპარატზე.

„ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ" საქართველოს კანონის 26-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია ფინანსდება რეგულირებული საქმიანობისთვის კომისიის მიერ დადგენილი რეგულირების საფასურიდან, რომელსაც შესაბამისი ლიცენზიატები და სხვა რეგულირებული საწარმოები იხდიან „რეგულირების საფასურის შესახებ" საქართველოს კანონითა და ამ კანონით დადგენილი პირობების შესაბამისად.

„მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის, „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ" საქართველოს კანონის და „რეგულირების საფასურის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოებს არ ჰყავთ სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანო, არიან დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანოებისგან, არ წარმოადგენენ საჯარო სამსახურებს, მათში დასაქმებული პირები არ არიან საჯარო მოხელეები, მათი დაფინანსებისა და მიმდინარე საბიუჯეტო დანახარჯების დაფარვის ერთ-ერთ ძირითად წყაროს წარმოადგენს რეგულირების საფასური, ისინი არ ფინანსდებიან არც სახელმწიფო ბიუჯეტის, არც ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის და არც მუნიციპალიტეტების ბიუჯეტის სახსრებით და მათზე დაუშვებელია საქართველოს საჯარო სამსახურის მარეგულირებელი კანონმდებლობის გავრცელება.

აღნიშნული საკანონმდებლო ნორმატიული დანაწესების საწინააღმდეგოდ, „სახელმწიფო პენსიის

შესახებ“ საქართველოს კანონი განსხვავებულ დეფინიციას გვთავაზობს. კერძოდ, კანონის მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, საჯარო საქმიანობა განისაზღვრება როგორც სახელმწიფო სამსახურსა და საჯარო სამსახურში, მათ შორის, საჯარო სამართლის იურიდიულ პირში (გარდა პოლიტიკური და რელიგიური ორგანიზაციებისა, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა, მუზეუმებისა, ბიბლიოთეკებისა, სკოლა-პანსიონებისა, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების, სკოლისგარეშე და სააღმზრდელო საქმიანობის განმახორციელებელი დაწესებულებებისა), განხორციელებული შრომითი ანაზღაურებადი საქმიანობა. საჯარო საქმიანობად არ მიიჩნევა საუბნო საარჩევნო კომისიაში განხორციელებული შრომითი ანაზღაურებადი საქმიანობა და საოლქო საარჩევნო კომისიის დროებითი წევრის მიერ განხორციელებული შრომითი ანაზღაურებადი საქმიანობა. ისეთი შრომითი ანაზღაურებადი საქმიანობის შესახებ ინფორმაციას, რომელიც საჯარო საქმიანობას მიეკუთვნება, კომპეტენტურ ორგანოს შეთანხმებული ფორმატით აწვდის საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

ეს მუხლი პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდის ზემომოყვანილ კანონებთან და ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოებს უდგენს შეზღუდვას მიუხედავად იმისა, რომ ისინი არ არიან საჯარო დაწესებულებები, მათში მომუშავე პირები არ არიან საჯარო მოხელეები და „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის ერთ-ერთი ძირითადი იმპერატივია, რომ ერთი და იმავე პირმა სახელმწიფო ბიუჯეტის ორი წყაროდან ერთდროულად არ მიიღოს ანაზღაურება (ხელფასი საჯარო სამსახურიდან და პენსია). ფაქტია, რომ ეროვნული მარეგულირებელი ორგანოები არ ფინანსდებიან არცერთი სახელმწიფო ბიუჯეტიდან და მათში დასაქმებული პირები ვერ მიიღებენ ანაზღაურებას რომელიმე ბიუჯეტის სახსრებიდან.

„სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „გ ქვეპუნქტი გამონაკლისს აკეთებს სწორედ ისეთი საჯარო დაწესებულებებისათვის, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებიან და არ ითვალისწინებს იმას, რომ ეროვნული მარეგულირებელი ორგანოებში საქმიანობა არ წარმოადგენს საჯარო დაწესებულებაში საქმიანობას.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

კანონპროექტის მიღების მიზანია აღმოიფხვრას არსებული შეუსაბამობა „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონსა და „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“, „საჯარო სამსახურის შესახებ“, „მაუწყებლობის შესახებ“, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ და „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონებს შორის, რითაც ლიკვიდირებული იქნება ის იურიდიული დისბალანსი, რომელიც გამოწვეულია ნორმატიულ დანაწესთა ფორმულირებით, რომელიც არ ითვალისწინებს, რომ ეროვნული მარეგულირებელი ორგანოები არ ითვლებიან საჯარო სამსახურებად, ხოლო მათში მომუშავე პერსონალი – საჯარო მოხელეებად.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

წინამდებარე კანონპროექტის მიღებით „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ პირებთან ერთად ეროვნული მარეგულირებელი ორგანოებში დასაქმებულ პირებს უფლება ექნებათ ხელფასთან ერთად მიიღონ სახელმწიფო პენსია.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

„სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საგამონაკლისო ინსტიტუტებს ემატება ეროვნული მარეგულირებელი ორგანოები და იგი ჩამოყალიბდება შემდეგი რედაქციით:

„გ) საჯარო საქმიანობა – სახელმწიფო სამსახურსა და საჯარო სამსახურში, მათ შორის, საჯარო

სამართლის იურიდიულ პირში (გარდა პოლიტიკური და რელიგიური ორგანიზაციებისა, ეროვნული მარეგულირებელი ორგანოებისა, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა, მუზეუმებისა, ბიბლიოთეკებისა, სკოლა-პანსიონებისა, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების, სკოლისგარეშე და სააღმზრდელო საქმიანობის განმახორციელებელი დაწესებულებებისა), განხორციელებული შრომითი ანაზღაურებადი საქმიანობა. საჯარო საქმიანობად არ მიიჩნევა საუბნო საარჩევნო კომისიაში განხორციელებული შრომითი ანაზღაურებადი საქმიანობა და საოლქო საარჩევნო კომისიის დროებითი წევრის მიერ განხორციელებული შრომითი ანაზღაურებადი საქმიანობა. ისეთი შრომითი ანაზღაურებადი საქმიანობის შესახებ ინფორმაციას, რომელიც საჯარო საქმიანობას მიეკუთვნება, კომპეტენტურ ორგანოს შეთანხმებული ფორმატით აწვდის საქართველოს ფინანსთა სამინისტრო".

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიციირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

კანონპროექტი არ არის ინიცირებული საქართველოს მთავრობის მიერ.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

კანონპროექტის ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე. კანონს არ ენიჭება უკუძალა.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა არ არის მოთხოვნილი.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო იქნება სახელმწიფო ბიუჯეტი.

კანონპროექტს გავლენა ექნება მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე. ვინაიდან დღეისათვის ეროვნულ მარეგულირებელ კომისიებში სულ დასაქმებულია საპენსიო ასაკის 32 პირი, იმის გათვალისწინებით, რომ მათ შორის 70 წელს გადაცილებულია 15 პირი თუ კანონი ძალაში შევა 2022 წლის 1 იანვრიდან შემდეგი 3 წლის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტის წლიური ხარჯვითი ნაწილი გაიზრდება 2022 წელს - 107040 ლარით, 2023 წელს 115620 ლარით, ხოლო 2024 წელს 124200 ლარით.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

წარმოდგენილი კანონპროექტი გავლენას არ იქონიებს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი): ვინაიდან დღეისათვის ეროვნულ მარეგულირებელ კომისიებში სულ დასაქმებულია საპენსიო ასაკის 32 პირი, იმის გათვალისწინებით, რომ მათ შორის 70 წელს გადაცილებულია 15 პირი თუ კანონი ძალაში შევა 2022 წლის 1 იანვრიდან შემდეგი 3 წლის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტის წლიური ხარჯვითი ნაწილი გაიზრდება 2022 წელს - 107040 ლარით, 2023 წელს 115620 ლარით, ხოლო 2024 წელს 124200 ლარით.

ზ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებას.

ზ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

კანონპროექტი დადებით ფინანსურ გავლენას იქონიებს იმ 32 ფიზიკურ პირზე, რომლებიც ექცევიან კანონპროექტის რეგულირების სფეროში, კერძოდ, პროექტით გათვალისწინებულ ფიზიკურ პირებს გაეზრდებათ შემოსავალი იმ პერიოდისათვის მოქმედი სახელმწიფო პენსიის სიდიდით.

ზ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტით არ დგინდება გადასახადი, მოსაკრებელი ან სხვა სახის გადასახდელი.

ზ[1]) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:

კანონპროექტს არ ექნება ზეგავლენა ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი

ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის,
ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

ვ) კანონპროექტის ინიციატორი: